1974/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 6 (401)

1974 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (401) ივნისი 1974 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

93. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესახებ.

94. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

95. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ა. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

96. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ს. კონცელიძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ხუროძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

98. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. მ. კვირკველიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

99. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგეჭკორის რაიონში „საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

100. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის

№ 6 ეროვნული

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობა რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

101. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებისა და ამომრჩეველთა წინადადებების შესახებ.

102. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

103. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე, 264-ე და 265-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

104. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ქართულ ტექსტში ზოგიერთი რედაქციული შესწორების შეტანის შესახებ.

105. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის № 105 და ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქებში ჩატარებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მასალების სამანდატო კომისიისათვის გადაცემის შესახებ.

## საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული ბრძანებულებები და დადგენილებები

106. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობის, მელიორირებული მიწების გამოყენების მდგომარეობისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე.

107. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ.

108. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ.

109. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.

110. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

111. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „ამხ. გ. ს. შენგელიას საქართვე-ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფ-როსად დანიშვნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძა-ნებულების დამტკიცების თაობაზე.

112. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „გარდაბნის რაიონში ახალი სამ-გორის და ულიანოვკის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

## განყოფილება მეორე

113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარ-ზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციის და სტამბის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ამაშუ-კელისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ნ. ნოვიც-კისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

117. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ფ. გაგნიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

119. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

120. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ზ. ტატიშვი-ლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

121. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. თეთ-ვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

122. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

123. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. მარლანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

124. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. დ. მახა-ჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

125. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. პივოვაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

126. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ბ. ჭოლოკუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობა.

დანართი: საქართველოს სსრ წყლის კოდექსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 93 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 7 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 94 საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროდ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 10 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 95 ამხ. ო. ა. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს ამხ. ოთარ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიამდე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 24 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 96 ამხ. რ. ხ. კონცელიძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაინიშნოს ამხ. რევაზ ხასანის ძე **კონცელიძე** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 97 ამხ. ა. ვ. ხუროძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გათავისუფლდეს ამხ. ადოლფ ვარლამის ძე **ხუროძე** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 98 ამხ. ზ. მ. კვირკველიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გათავისუფლდეს ამხ. ზაურ მიხეილის ძე კვირკველია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

## 99 გეგეჭკორის რაიონში „საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. კ. ასათიანის მოხსენება, აღნიშნავს, რომ გეგეჭკორის რაიონის ადგილობრივმა საბჭოებმა, ხელმძღვანელობენ რა „საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილებით, უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაამახვილეს ყურადღება საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, კანონიერების დაცვის, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის, მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის საკითხებისადმი.

რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად იხილავენ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური კანონიერების განხორციელების მდგომარეობას, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების, მიწათსარგებლობის კანონის, სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების დაცვის და სხვა აქტუალურ საკითხებს.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახალხო მეურნეობის გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებაზე. რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა გასული წლის და მიმდინარე წლის ხუთი თვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ასევე გადაჭარბებით სრულდება რაიონული და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტის შემოსავლების გეგმები.

საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა გააძლიერეს კონტროლი მიწათსარგებლობის შესახებ კანონების განხორციელებაზე, რამაც დიდად შეუწყო ხელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადიდებას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აღნიშნული სესიის დადგენილების შემდეგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუბრუნდათ უკანონოდ მითვისებული 33,88 ჰექტარი, ათვისებულია 40 ჰექტარი ახალი სავარგული, გატყევებულ იქნა 319 ჰექტარი ეროზიული ფართობი. 80 ჰექტარი ამოშრობილი მიწა დამატებით ჩაირიცხა კოლმეურნეობების მიწის ფონდში, ტყე-ბუჩქნარისაგან გაიწმინდა და ათვისებულ იქნა 120 ჰექტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოების, მათი მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების აქტივობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

მაგალითად, დაბა გეგეჭკორის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებმაც არ გამოიმუშავეს შრომის სავალდებულო მინიმუმი 1972 წელს შეადგენდა 56 კაცს, ხოლო 1973 წელს, გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, მათი რიცხვი 6 კაცამდე შემცირდა. ამავე საბჭოს გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში ეს რიცხვი 99 კაციდან 33-მდე შემცირდა.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის გარკვეულ მუშაობას ეწევიან სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი სახალხო რაზმეულები და ამხანაგური სასამართლოები. ამის შედეგად რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში 1973—1974 წლებში არ მომხდარა არც ერთი სახის დანაშაული (სერგიეთი, ლოშაყე, ინჩხერი).

სათანადო ყურადღება ექცევა მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკითხებს. ცალკეული კანონებისა და ნორმატიული აქტების განმარტების მიზნით სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებმა და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასულ წელს და მიმდინარე წლის 5 თვეში ჩაატარეს 186 ლექცია-მოხსენება.

რაიონულ გაზეთებში სპეციალური რუბრიკით სისტემატურად იბეჭდება იურიდიული ხასიათის წერილები.

ამასთან, საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების განხორციელების საქმეში გეგეჭკორის რაიონის ადგილობრივ საბჭოებს გააჩნიათ ნაკლოვანებები.

კვლავ ხარვეზებია მიწის გამოყენებისა და მიწის კანონმდებლობის დაცვის საქმეში.

თვითნებური მშენებლობის და ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიწის ფართობების მითვისების გამო სისტემატურად მცირდება სახნავი ფართობი. მაგალითად, დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე რაიკავშირის გამგეობამ 0,3 ჰექტარ ფართობზე უნებართვოდ ააშენა პურის საცხობი; ცხაკაიას მე-11 საგზაო უბანმა სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი გახადა 2,5 ჰექტარი მიწა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია ზონარგაყრილი წიგნები. არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა საცხოვრებელი სახლების უკანონოდ მშენებელთა და მიწების მიმთვისებელთა წინააღმდეგ. დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მ. ხარებავამ 1973 წლის მაისში კოლმეურნეობის ფართობში უნებართვოდ აიშენა სახლი და დაიკავა 0,25 ჰექტარი მიწა. კოლმეურნეობის გამგეობამ საკითხი განსახილველად გადასცა ადმინისტრაციულ ორგანოებს, მაგრამ, ფაქტიურად, ზომები ჯერაც არ არის მიღებული.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება ყოველთვის არ იყენებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ სანქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარ-გებლო შრომას და ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას.

ნაკლოვანებებია ბუნების დაცვის შესახებ კანონის განხორციელებაში. არცთუ იშვიათია ტყეების უკანონოდ ჭრისა და დაზიანების, ბრაკონიერობის შემთხვევები.

მარტო 1973 წელს და 1974 წლის 5 თვეში ტყით სარგებლობის წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა არა ერთი კაცი. ამავე პერიოდში გამოვლენილ იქნა ნადირობის და თევზჭერის წესე-ბის დარღვევის მრავალი შემთხვევა.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმას-რულებელ კომიტეტებს არ დაუწესებიათ სათანადო კონტროლი მათს ტერი-ტორიაზე არსებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ მიღებულ დად-გენილებათა და ბრძანებულებათა კანონიერებაზე, რის გამოც ადგილი აქვს ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ უკანონო ბრძანებების გამოცემას (გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკა, ბანძის მევენა-ხეობის საბჭოთა მეურნეობა, გეგეჭკორის საკოლმეურნეობათაშორისო მეფ-რინველეობის ფერმა, რაიონის სამომხმარებლო კოოპერაცია, საკონსერვო ქარხანა და სხვ.).

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი აჭარბებს თავის უფლებებს და ღებულობს მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებებს.

რაიონში არ ტარდება ყველა ღონისძიება საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, ამ საქმეში ნაკლებადაა ჩაბმული საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი და სახალხო რაზმელები, ამხანაგუ-რი სასამართლოები. 1972 წელთან შედარებით 1973 წელს და 1974 წლის 5 თვეში დამნაშავეობა რამდენადმე გაიზარდა; მათ შორის ისეთი სახის დანაშაული როგორიცაა მკვლელობა, სახელმწიფო ქონების მითვისება, სპეკულაცია. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბანძის, კურზუს, ხუნწის და აბედათის სასოფლო საბჭოებში.

რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო კონტროლს არ უწევს სასოფ-ლო და სადაბო საბჭოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული დადგენილების შესრულებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დასახოს და გაატაროს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დად-გენილების განუხრელად შესრულებას, რისთვისაც:

ა) თავის საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელოს სკკპ XXIV ყრილო-ბის გადაწყვეტილებებით, სკკპ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების დადგენილებებით და საქართველოს სსრ კანონებით მშრომელ-თა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ. სისტემატურად შეისწავ-ლოს სახალხო მეურნეობის განვითარების, სამეურნეო და კულტურული მშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლობის აქტუალური საკითხები. ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ ისინი ყოველთვის ხელს უწყობდნენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მე-9 ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმების და სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებას;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, სოციალისტური ქონების დაცვას. გააძლიერონ ბრძოლა წარსულის მავნე გადმონაშთების, ლოთობის, ხულიგნობის, მექრთამეობის, მომხვეჭელობის, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ;

გ) აამაღლონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მიწათსარგებლობის, შრომის, ბუნების დაცვის და სხვა კანონმდებლობის დაცვის საქმეში; პერიოდულად საბჭოებისა და აღმასკომების მსჯელობის საგანი გახადონ კოლმეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებები საკავშირო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების მიერ მიღებული კანონების და დადგენილებების შესრულების მდგომარეობაზე. ამასთან კანონების დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დატოვონ რეაგირების გარეშე;

დ) მიაღწიონ იმას, რომ დანაშაულის წინააღმდეგ და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოს სოციალისტური და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, აღმასკომების არასრულწლოვანთა საქმეების, ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიები, ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმელები, საზოგადოებრიობა. გააქტიურონ საბჭოების დეპუტატების საქმიანობა საარჩევნო ოლქების მიხედვით;

ე) ანგარიში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1975 წლის 10 იანვრისათვის.

2. აღნიშნული დადგენილება დაეგზავნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სათემო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 100 „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობა რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების და პრეზიდიუმის მისაღების მიერ წარმოდგენილი მასალები, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა და საქართველოს სსრ სამინისტროებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებისა და აღნიშნულ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 14 მაისის დადგენილების შესასრულებლად.

მშრომელთა მასების გაზრდილმა პოლიტიკურმა აქტივობამ განაპირობა მოქალაქეთა წერილების და განცხადებების რაოდენობრივი ზრდა, მათ მიერ საქმიანი წინადადების დაყენება სამინისტროებში, უწყებებსა და ხელისუფლების ორგანოებში.

შემოწმებულ აღმასკომებსა და სამინისტროებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების უმრავლესობა განხილულია დროულად და მათში დაყენებული საკითხები ძირითადად გადაწყვეტილია სწორად. ჯეროვანი ყურადღება ექცევა მთხოვნელთა მიღებას, მტკიცედ იცავენ მიღებისათვის განკუთვნილ დღეებსა და საათებს, პრაქტიკაშია მშრომელთა მიღება ადგილებზე — საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, სამინისტროების კოლეგიები პერიოდულად ისმენენ მშრომელთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას, სახავენ ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ამისა მშრომელთა წერილების, განცხადებების და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა არ პასუხობს ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოთხოვნებს.

არის შემთხვევები, როცა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები უსაფუძვლოდ უგზავნიან მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს ისეთ დაწესებულებებს, რომელთაც ან არ ეხებათ განცხადებაში აღძრული საკითხები, ან არ არიან კომპეტენტურნი მათს გადასაწყვეტად; ირღვევა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის დადგენილი ვადები, ჭიანურდება მათში აღძრული საკითხების გადაწყვეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, მოქ. ზ. ბაგლაის კანონიერი თხოვნა სარდაფში ჩასასვლელი გზის გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის 26 კომისრის რაიაღმასკომმა დააკმაყოფილა 63 დღის შემდეგ, ხოლო მოქ. ა. პილოსიანს განცხადებაზე გაზქურის დაყენების შესახებ პასუხი გაეცა 59 დღის დაგვიანებით. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოქ. ა. კოცაბას საჩივარზე პასუხი გასცა ორი თვის შემდეგ, საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტრომ მოქ. დ. ბოხაშვილის განცხადებას უპასუხა 103 დღის შემდეგ და სხვ.

თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომში 1973 წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიღებული 10.574 განცხადებიდან 971 განხილულია ვადის დარღვევით, სამტრედიის რაიაღმასკომში — 2034 განცხადებიდან — 112, ფინანსთა სამინისტროში — 1.116 განცხადებიდან — 175. ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა დანარჩენ შემოწმებულ რაიაღმასკომსა და სამინისტროში.

განმცხადებლებისათვის პასუხის გაცემა ჭიანურდება მაშინაც კი, როცა განცხადება არ საჭიროებს ადგილზე შემოწმებას და დამატებითი მასალების შეგროვებას.

განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვას და გადაწყვეტას ხელს უშლის ისიც, რომ სამინისტროები ზოგჯერ ძალზე აგვიანებენ დანიშნულებისამებრ მათს გადაგზავნას.

მშრომელები, რიგ შემთხვევაში, თავიანთ განცხადებებსა და საჩივრებზე იღებენ ნაჩქარევ ზერელე პასუხს, რომელიც არ შეესაბამება საჩივარს.

მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან გადაგზავნილი კოლექტიური საჩივარი რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს შრომითი თერაპიის სახელოსნოში ავადმყოფების მოვლა-პატრონობისა და მათ მიერ გამომუშავებული თანხების მითვისების შესახებ, საფუძვლიანად არ შეისწავლა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილმა კომისიამ და ვერ გამოავლინა საჩივარში აღნიშნული ფაქტები, ხოლო მეორე კომისიამ, სახალხო კონტროლის წარმომადგენლებთან ერთად, საჩივარში მოყვანილი ფაქტების უმრავლესობა დაადასტურა.

ზერელე შემოწმებისა და დაუსაბუთებელი პასუხების გაცემის ფაქტებს ადგილი აქვს აგრეთვე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, კალინინისა და ორჯონიკიძის რაიაღმასკომებში და სხვ.

არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს გზავნიან იმ ორგანიზაციებში, რომელთა ხელმძღვანელობასაც უჩივიან განმცხადებლები, ან როცა მოქალაქეებისთვის წერილობით მიცემული დაპირებები არ სრულდება (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, კიროვის რაიაღმასკომი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროები).

მშრომელები იძულებული ხდებიან განმეორებით მიმართონ საკავშირო და რესპუბლიკურ ინსტანციებს, მაშინ, როდესაც ზოგიერთ განცხადებაში არის ისეთი ხასიათის საჩივარი, რომლის მოგვარება ადგილზევეა შესაძლებელი.

მაგალითად, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში 1973 წელს გამოვლენილია პენსიების არასწორად გაცემის 543 შემთხვევა. ანალოგიურ დარღვევებს ადგილი აქვს მიმდინარე წელსაც, რაც იწვევს მშრომელთა კანონიერ საჩივარს.

ირღვევა ზემდგომი ორგანოებიდან გადაგზავნილი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის და გადაწყვეტის ვადები.

ასე მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან გადაგზავნილ მოქ. შ. გაფრინდაშვილის განცხადებას, დაზიანებული საცხოვრებელი სახლის ზარალის ანაზღაურების შესახებ, ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უპასუხა 55 დღის შემდეგ, ხოლო მოქ. კ. გოგოლაძის საჩივარზე საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ სტალინის სახელობის მაღაროს დირექციის მიერ პასუხი გაცემულ იქნა 8 თვის შემდეგ და სხვ.

ზემდგომი ორგანოებიდან გადაგზავნილ მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს დადგენილი ვადის დარღვევით განიხილავენ და წყვეტენ აგრეთვე სამტრედიის, თბილისის ლენინის, პირველი მაისის, კალინინის, 26 კომისრის სახელობის რაიონული და თბილისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებში, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები და სამინისტროები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ განმეორებითი განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს, ნაკლებ პასუხს თხოვენ იმ მუშაკებს, რომელთა დაუდევრობამ გამოიწვია განმეორებითი განცხადებები და საჩივრები. ამასთან, საზოგადოების მსჯელობის საგნად არ ხდიან იმ მოქალაქეთა საკითხს, რომელთა თხოვნა აშკარად კანონსაწინააღმდეგოა და რის შესახებაც მათ მრავალჯერ მიეცათ წერილობითი პასუხი.

ხშირ შემთხვევაში აღმასკომებისა და სამინისტროების თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ მშრომელთა წერილებზე, არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და განათლება, არ იცნობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების წესებს განცხადებების აღრიცხვის, კონტროლზე აყვანის, ჩამოწერისა და სხვ. შესახებ.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები სათანადო ზედამხედველობას არ ახორციელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების, საქართველოს კომპარტიის ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური კომიტეტის 1972 წლის 7 დეკემბრის და 1974 წლის 14 მაისის დადგენილებების განუხრელად შესრულებისათვის;

ბ) პერიოდულად შეისწავლონ და თავიანთ სხდომებზე განიხილონ მათს აპარატში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მთხოვნელთა მიღების მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) უზრუნველყონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვა, შემოწმება და დადგენილ ვადებში მათზე პასუხის გაცემა; რეაგირების გარეშე არ დატოვონ მოქალაქეთა კანონიერი თხოვნის არასწორად გადაწყვეტის არც ერთი შემთხვევა; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ განმეორებითი განცხადებების და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს;

დ) აამაღლონ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებში აღძრული საკითხების სწორი და დროული გადაწყვეტისათვის, მკაცრი პასუხი მოთხოვონ იმ პირთ, რომლებიც მთელი გულისხმიერებით არ ეკიდებიან მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს;

ე) არ დაუშვან მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების უსაფუძვლო გადაგზავნა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში. ასევე აღკვეთონ განცხადებების გადაგზავნა იმ პირებისათვის, რომელთაც ეხება საჩივარი;

ვ) სისტემატურად იზრუნონ იმ თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად, მათთვის შრომის სათანადო პირობების შესაქმნელად, რომლებიც მუშაობენ მშრომელთა განცხადებების განხილვაზე, მეტი ყურადღება მიაქციონ მშრომელთა განცხადებების აღრიცხვის, კონტროლზე აყვანის და პასუხის გაცემის საქმეში მოწინავე მეთოდების დანერგვას.

2. რესპუბლიკის პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 101 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებისა და ამომრჩეველთა წინადადებების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შეხვედრები ამომრჩევლებთან ტარდება ორგანიზებულად და მაღალ იდეურპოლიტიკურ დონეზე. წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით საგრძნობლად გაიზარდა ამომრჩეველთა აქტივობა; ისინი, გარდა იმისა, რომ დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე აყენებენ კონკრეტულ საკითხებს, ამასთანავე ამხელენ ნაკლოვანებებს მათ მიერ ადრე წამოყენებულ წინადადებათა შესრულების საქმეში. ამომრჩევლების მიერ დაყენებული საკითხები შეეხება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგს: სახალხო განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობის დაცვას, ვაჭრობას, საბინაო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, გზების კეთილმოწყობას და სხვა.

ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ანგარიშის ჩაბარების დროს ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებანი განსახილველად გაეგზავნოს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის შესაბამისად განიხილონ ამომრჩეველთა მიერ დაყენებული საკითხები და მიღებულ ღონისძიებათა შესახებ დასაბუთებული პასუხი მისცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომლებსაც არ ჩაუბარებიათ ანგარიში, უახლოეს დროში ჩააბარონ ანგარიში ამომრჩევლებს და ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 102 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის 1972 წლის 20 სექტემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მე-9 მუხლის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გ) მოამზადოს დასკვნები დეპუტატთა ხელშეუხებლობასთან და გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე დეპუტატთა პირად განცხადებებზე დეპუტატის მოვალეობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ ან გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის იმ პირთა მიმართ კანონიერ ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, რომლებიც დეპუტატებად იყვნენ არჩეული".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 103 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე, 264-ე და 265-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 255-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის პირებს" შეიცვალოს სიტყვებით „ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებს, ზემდეგებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს".

2. 264-ე მუხლის „გ" პუნქტსა და 265-ე მუხლის „გ" პუნქტში სიტყვების „ოფიცერთა შემადგენლობის პირის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „პრაპორშჩიკის, მიჩმანის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 104 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ქართულ ტექსტში ზოგიერთი რედაქციული შესწორების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ქართულ ტექსტში შეტანილ იქნეს შემდეგი რედაქციული შესწორებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

256-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) საკუთრების უფლებით შენობის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ“;

258-ე მუხლში სიტყვები „შენობაზე საკუთრების უფლების ფაქტის“ შეიცვალოს სიტყვებით „საკუთრების უფლებით შენობის ფლობის ფაქტის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 105 გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის № 106 და ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქებში ჩატარებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მასალების სამანდატო კომისიისათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319, ხაშურის რაიონის ქვიშხეთის № 105 და ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქებიდან შემოსული მასალები გასულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შედეგების შესახებ გადაეცეს სამანდატო კომისიას ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად და შესაბამისი წინადადებათა წარსადგენად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

# საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული ბრძანებულებები და დადგენილებები

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 106 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობის, მელიორირებული მიწების გამოყენების მდგომარეობისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ზ. ბ. გელდიაშვილის მოხსენება „საქართველოს სსრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ» სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობის, მელიორირებული მიწების გამოყენების მდგომარეობისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, რომელიც კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის დიდი მზრუნველობისა და ყურადღებისა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი.

დადგენილებაში სავსებით სამართლიანად მითითებულია, რომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისა და ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში მოპოვებულ მიღწევებთან ერთად, უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში შენელდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი, შემცირდა მათი ხვედრითი წონა საერთო საკავშირო წარმოებაში, სათანადოდ არ იყო გამოყენებული მევენახეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, საჭირო რაოდენობით არ აწარმოებდნენ მეცხოველეობის პროდუქტებს, არაეფექტურად იყო გამოყენებული სარწყავი მიწები და ნელი ტემპით მიმდინარეობდა კოლხეთის დაბლობის ათვისება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების კარდინალურ მიმართულებებს, მისი ეკონომიური პოტენციალის ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გზებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის მაისის პლენუმზე დასახა ღონისძიებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებანი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ითვალისწინებენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ ინტენსიფიკაციას, მისი განვითარების ტემპის დაჩქარებას და მოსავლიანობის ზრდას, რის ერთ-ერთ საფუძველს — კომპლექსურ მექანიზაციასა და ქიმიზაციასთან ერთად, მიწების მელიორაცია და მელიორირებული მიწების სრულყოფილი გამოყენება წარმოადგენს.

მელიორაციის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა განსახორციელებლად, მიწების გასარწყავიანების და მათი ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის, ნიაღვრისა და წყალდიდობისაგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვისათვის საქართველოში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟარდა გარკვეული ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკამ ვერ შეძლო მელიორაციის დარგში მერვე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად შესრულება.

მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხაზით საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ 94,5 პროცენტით შეასრულა. ასევე ვერ ასრულებენ გეგმებს საქართველოს სსრ მშენებლობის, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროები და „კავკასელექტროქსელმშენის", „საქჰიდროენერგომშენის" და „საქსოფლელექტრომშენის" ტრესტები.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ყველა შესაძლებლობას არ იყენებენ მელიორაციის დარგში კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესასრულებლად. მშენებლობებზე ადგილი აქვს მუშახელის ნაკლებობას, სახსრებისა და მატერიალური საშუალებების მრავალრიცხოვან ობიექტებზე დაქსაქსვას, დაუმთავრებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემას.

ზოგიერთი ნაკლოვანებები აღინიშნება წყალსამეურნეო ობიექტების დაპროექტებაშიც.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საირიგაციო და დამშრობი სისტემების ექსპლუატაციას, ბევრგან არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შიდასამეურნეო სარწყავი და დამშრობი ქსელების მოვლა-პატრონობა.

სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოები არ ახორციელებენ მათზე დამოკიდებულ ყველა ღონისძიებას მელიორირებული მიწების ათვისებისა და გამოყენებისათვის. რესპუბლიკაში არსებული 360,8 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობიდან 1973 წელს გამოუყენებელი დარჩა 1.243 ჰექტარი. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოყენებული სარწყავი ფართობებიდან გასულ წელს არ მოირწყა 79 ათასი ჰექტარი.

ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების უკონტროლობის შედეგად არ ხდება სარწყავი წყლის მომჭირნეობით ხარჯვა, რწყვის ნორმების, ვადებისა და წესების დაცვა, მათი შეთავსება აგროტექნიკურ ღონისძიებებთან, რის შედეგადაც ადგილი აქვს ნიადაგების ეროზიას, დაჭაობებას, დამლაშებას და სხვ.

რესპუბლიკაში ძალიან დაბალ დონეზეა რწყვის მექანიზაციის საქმე და ეს მეტად შრომატევადი სამუშაო ძირითადად ხელით წარმოებს; ასევე მოუწესრიგებელია რწყვის ორგანიზაცია, მრწყველთა შრომის ანაზღაურებაში მატერიალური დაინტერესების ღონისძიებათა გატარება; იგრძნობა კვალიფიციურ ჰიდრომელიორატორთა კადრების დიდი ნაკლებობა; კოლმეურნეობებში, საბჭოთა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მრწყველთა მუდმივი ბრიგადები და რგოლები.

№ 6/ ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის და მიწის ნაყოფიერების გადიდების სამუშაოები.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებს გაწეული აქვთ გარკვეული მუშაობა, ისინი თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ჯერ კიდევ ვერ უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებს, დაბალია მათი როლი მიწების მელიორაციის ტექნიკურ პროგრესში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი და დადგენილებაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ დასახეს რესპუბლიკაში მელიორაციის განვითარებისათვის შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი:

გაშენდეს სარწყავი სისტემები 200—230 ათას ჰექტარ ფართობზე, შესრულდეს არსებული სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციის და წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები 170—200 ათას ჰექტარ ფართობზე; განხორციელდეს მდინარეების ჩამონადენთა რეგულირების ღონისძიებანი ბირკიანისა და წყნარის წყალსაცავების მოწყობით, აშენდეს ზემო ალაზნის მეორე რიგის და ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემები; რეკონსტრუქციის სამუშაოები ჩატარდეს მაშველის, ხრამის, ცხენისწყლის, ტირიფონის და ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემებზე. გაძლიერდეს მუშაობა კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობის და ათვისებისათვის, დაშრობილ იქნას 40 ათასი ჰექტარი ახალი მასივები და ადრე აშენებულ დამშრობ სისტემებს ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია; დაშრობილ და ათვისებულ იქნას კოლხეთის მთელი დაბლობი; ნიადაგების შენარჩუნების და ნაყოფიერების ამაღლების მიზნით დამუშავდეს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან მათი დაცვის და კულტ-ტექნიკურ ღონისძიებათა დეტალური პროგრამა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკაში მელიორაციის შემდგომი განვითარებისა და მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო უწყებების და ორგანიზაციების, მელიორაციის დარგში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების და სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების, საპროექტო ორგანიზაციების საქმიანობის სახელმწიფო მნიშვნელობის პირველი რიგის ამოცანად იქნას მიჩნეული მეცხრე ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობას, უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების დადგენილ ვადებში შესრულება, სამუშაოთა ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, მშენებლობის მექანიზაციისა და ტექნიკის გამოყენების დონის ამაღლების და წარმოების პროგრესული მეთოდების დახერგვის გზით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება; ამასთან, მიიღონ ზომები მუშებისა და სპეციალისტებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

3. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციის საქმის სრულყოფისა და მელიორირებული მიწების რაციონალურად გამოყენებისათვის; სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთლიანად გამოიყენონ გასარწყავებული და დაშრობილი მიწები; გაზარდონ მათი პროდუქტიულობა; სრულ წესრიგში იქონიონ სახელმწიფო, სამეურნეობათაშორისო და შიდასამეურნეო სარწყავი ქსელი, დამშრობი არხები, საკოლექტორო-სადრენაჟო ნაგებობები. უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური კულტურების რწყვის მექანიზაციასთან დაკავშირებულ და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და ხარისხოვნად ჩატარება; არ დაუშვან სარწყავი წყლის უმიზნოდ ხარჯვა, ნიადაგების ჩამორეცხვა, დაჭაობება და დამლაშება; სწორად დაგეგმონ სარწყავ და დაშრობილ მიწებზე შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო და სხვა კულტურების მოყვანა, მოსავლიანობა ჰექტარზე და სრულად აღრიცხოს მათი რეალური მაჩვენებლები.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საბჭოების დეპუტატების და შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მიწების სამელიორაციო სამუშაოების დავალებათა წარმატებით შესრულებასა და მელიორირებული მიწების ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდებაში; მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ მელიორაციის დარგის ხელმძღვანელი მუშაკებისადმი სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმეში; აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად; სათანადო მზრუნველობა და დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ადგილობრივ ორგანოებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ სამელიორაციო სამუშაოებს და ექსპლუატაციას უწევენ მელიორირებული მიწის ფართობებს; სისტემატურად გააანალიზონ მათი მუშაობა და დროულად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ; მშენებარე ობიექტები უზრუნველყონ მუშახელით და გააუმჯობესონ მათი შრომის პირობები.

5. დაევალოს შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციებს, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებს გააძლიერონ მუშაობა მელიორაციის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, შეიმუშაონ და პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ შრომის ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული, პროგრესული მეთოდები; გააუმჯობესონ პროექტების ხარისხი, მიიღონ ზომები მშენებლობის გასაიაფებლად და სამელიორაციო სისტემათა საექსპლუატაციო ხარჯების შესამცირებლად.

6. დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", კოლხეთის ზონის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოებს:

— მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას კოლხეთის დაჭაობებული მიწების დაშრობისა და ათვისების საქმეში;

— სრულ წესრიგში იქონიონ არსებული დამშრობი ქსელი. არ დაუშვან არხების ნალექით ამოვსება და დანაგვიანება, სისტემატურად ჩაატარონ სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები; გააუმჯობესონ იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება სპეციალური და სხვა ტექნიკით, რომლებიც კოლხეთის ზონაშია განლაგებული.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობების სამინისტროებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ" მიზნობრივად გამოიყენონ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩასატარებლად გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი. ყოველწლიურ გეგმებში გაითვალისწინონ სათანადო სახსრები და მატერიალური საშუალებანი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის გასატარებლად და მიწის მასივების მეწყრული მოვლენებისაგან დასაცავად.

8. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ:

უზრუნველყოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობის კოორდინაცია მელიორირებული ფართობების ეფექტური და მაღალნაყოფიერი გამოყენების, სამელიორაციო სისტემების მოვლისა და რწყვის პროცესების მექანიზაციის პრობლემებზე; სისტემატურად მოისმინოს ამ საკითხებზე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ანგარიშები და განაზოგადოს მათი რეკომენდაციები პრაქტიკაში დასანერგავად. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კოლხეთის მიწების მელიორაციისა და ათვისების საქმეს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გააუმჯობესონ სამელიორაციო სამუშაოების დაგეგმვა; პირველ რიგში დააფინანსონ და მატერიალურ-ტექნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური საშუალებებით აღჭურვონ ექსპლუატაციაში გასაშვები გარდამავალი ობიექტები; არ დაუშვან კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა მრავალრიცხოვან ობიექტებზე.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით შეადგინონ უახლოესი წლების სამელიორაციო სამუშაოთა პერსპექტიული გეგმა სათანადო ეტაპებისა და რიგითობის განსაზღვრით და 1975 წლის ბოლომდე განსახილველად წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; ამასთან, პერსპექტიული გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს ის დავალებები, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქციის საწარმოებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებით.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ორგანიზაციები, სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებები, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი დაუღალავად და ნაყოფიერად იშრომებენ მიწების მელიორაციის დიდი პროგრამის განხორციელებისა და მელიორირებული მიწების ნაყოფიერების ამაღლებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი განვითარებისათვის და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის XXIV ყრილობის, „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

ქ. თბილისი, 1974 წლის 5 ივნისი.

## კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

## 107 საქართველოს სსრ წყლის კოდექსის*) დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ წყლის კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1974 წლის 1 ოქტომბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ წყლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 5 ივნისი.

---

*) იხ. დანართი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 108 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია, რომელმაც მოისმინა მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ანგარიში, აღნიშნავს, რომ მუდმივი კომისია, ხელმძღვანელობდა რა პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების დადგენილებებით, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა მშენებლობის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის საქმის გასაუმჯობესებლად.

კომისია მთელ საქმიანობას წარმართავდა სამუშაო გეგმის მიხედვით. საკითხების შესწავლა-განხილვაში ფართოდ იყვნენ ჩაბმული მუდმივი კომისიის წევრი დეპუტატები, შესაბამისი სამინისტროების, უწყებების სპეციალისტები და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს თითქმის სამ წელს, კომისიამ შეისწავლა და განიხილა მთელი რიგი აქტუალური საკითხები, კერძოდ: რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქში საბინაო საცხოვრებელი ფონდის ექსპლუატაცია და მცხოვრებთა კომუნალური მომსახურება; რესპუბლიკის სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკის მოვლა-პატრონობა; საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულება; ქ. ზუგდიდში მოსახლეობის კომუნალური მომსახურება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილმოწყობა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის და შე-კეთების მდგომარეობა და სხვ.

კომისია ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების, აგრეთვე თავისი დადგენილებების შესრულებას.

განხილულ საკითხებზე კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით ბევრი ღონისძიება განახორციელეს სამინისტროებმა, უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა. კერძოდ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ შეადგინა ქ. ზუგდიდის წყალსადენის რეკონსტრუქცია-გაფართოების ტექნიკური დოკუმენტაცია, ზუგდიდის საქალაქო საბჭომ კაპიტალურად შეაკეთა საცხოვრებელი სახლები, ქუჩები, დადგა ლამპიონები და სხვ. მუდმივი კომისიის 1973 წლის 20 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „მთავართბილმშენმა“ დიდი მუშაობა გასწია მშენებლობაზე შრომის მოწინავე მეთოდების დასანერგად. გლდანის მე-4 მიკრორაიონში და ლილოს სახლთმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე გაიხსნა სასადილოები, სამშენებლო მოედნებზე მოეწყო გასახდელები, წითელი კუთხეები, საშხაპეები და სხვ.

ამასთან ერთად რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტრო, უწყება და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭო მუდმივი კომისიის რეკომენდაციებს მთლიანად არ ასრულებდა.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ ყველა ღონისძიებას ადგილობრივი მნიშვნელობის გზების წესრიგში მოსაყვანად, ხოლო საავტომობილო გზების სამინისტრო ქმედით დახმარებას ვერ უწევს საწარმოო-საგზაო უბნებს სამუშაოსადმი ტექნიკური ხელმძღვანელობის საქმეში. გზების უხარისხობის გამო შეწყვეტილია საავტობუსო მიმოსვლა ზოგიერთი მიმართულებით (შუახევის, ხულოს, ოჩამჩირის, გუდაუთის, მესტიის რაიონები).

მუდმივი კომისია ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებას კონტროლი გაუწიოს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, მისი პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების, მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესრულებას. კომისიის ყველა წევრი აქტიურად არ მონაწილეობს საკითხების მომზადება-განხილვაში. ჯერ კიდევ სუსტია კომისიის კავშირი ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის საქმიანობა.

2. დაევალოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიას გააძლიეროს რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კანონების, უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს დადგენილებების, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებისა და ბრძანებულებების, მთავრობის დადგენილებების შესრულების კონტროლი, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მშენებლობის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის საქმის გაუმჯობესებას.

სრულყოს მუშაობის ფორმები და მეთოდები, საკითხების შესწავლა-განხილვაში აქტიურად ჩააბას როგორც კომისიის წევრები, ისე სხვა დეპუტატები, ადგილობრივი საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, სპეციალისტები და აქტივი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული წინადადებების დროულად განხილვას და შესრულებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს თავიანთი საქმიანობით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა განუხრელად განხორციელებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ქ. თბილისი, 1974 წლის 5 ივნისი.

## კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 109 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 3 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში სიტყვების „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სა-

მონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსი" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ქ. თბილისი, 1974 წლის 5 ივნისი.

## კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 110 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1974 წლის 10 იანვრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ".

1974 წლის 24 იანვრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე და 376-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1974 წლის 24 იანვრისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1974 წლის 12 აპრილისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ";

1974 წლის 29 აპრილისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ";

1974 წლის 29 აპრილისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ";

1974 წლის 15 მაისის „ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფასბეწვიანი ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა და გადამუშავების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1974 წლის 5 ივნისი.

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 111 „ამხ. გ. ს. შენგელიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 3 იანვრის ბრძანებულება ამხ. გ. ს. შენგელიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1974 წლის 5 ივნისი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 112 „გარდაბნის რაიონში ახალი სამგორის და ულიანოვკის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 7 მარტის ბრძანებულება „გარდაბნის რაიონში ახალი სამგორის და ულიანოვკის სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1974 წლის 5 ივნისი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 113 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ქ. თბილისის პირველი გასამხედრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი ვლადიმერ ანატოლის ძე **შილობოკოვი** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 114 ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციის და სტამბის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის** საპატიო წოდება:

გრიგოლ ირაკლის ძე **თავაძეს** — პასუხისმგებელ მდივანს.

გრიგოლ სპირიდონის ძე **პავლიაშვილს** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ლინოტიპისტს.

სირინოზა ვიქტორის ასულ **საყვარელიძეს** — ტექნიკურ რედაქტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 3 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 115 ამხ. ვ. ი. ამაშუკელისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული დოკუმენტური კინოხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, ერთ-ერთ მის ფუძემდებელს კინოოპერატორ ვასილ იაკობის ძე **ამაშუკელს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 18 ივნისი.

№ 8

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 116 ამხ. ო. ნ. ნოვიცკისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

უკრაინული და ქართული ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, უკრაინელ პოეტსა და მთარგმნელს ოლექსა (ალექსი) ნიკოლოზის ძე ნოვიცკის მიენიჭოს **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 117 ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში რესპუბლიკის განათლების ორგანოების და სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებრიობისათვის აქტიური დახმარებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 3 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 118 ამხ. კ. ფ. გაგნიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ელექტრიფიკაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, „საქმთავარენერგოს“ ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი ამხ. კონსტანტინე ფილიპეს ძე გაგნიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 119 ამხ. ს. ს. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნავთობის გადამმუშავებელი მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით, ბათუმის ი. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის დირექტორი ამხ. სერგო სოლომონის ძე დოლიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 120 ამხ. გ. ზ. ტატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორი ამხ. გურამ ზაქარიას ძე ტატიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 121 ამხ. ვ. ი. თეთვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ახალქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვახტანგ ივანეს ძე თეთვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 122 ამხ. დ. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინომსახიობი დავით ივანეს ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 123 ამხ. ვ. პ. მარღანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას" რედაქტორი ამხ. ვლადიმერ პეტრეს ძე **მარღანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 124 ამხ. ნ. დ. მისოჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნიკოლოზ დანიელის ძე **მისოჩენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე

თბილისი, 1974 წლის 24 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 125 ამხ. გ. ნ. პივოვაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავიაციო მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. გრიგოლ ნატანის ძე პივოვაროვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 24 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 126 ამხ. შ. ბ. ჭოლოკუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. შოთა ბორისის ძე ჭოლოკუა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 24 ივნისი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ შეაჯამა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ჩატარებული მუშაობა და დაავალა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ნ. ესაკიას სესიას მოახსენოს კომისიის მუშაობის ანგარიში.

*

* *

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ დაავალა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ პ. ქლენტს სესიაზე გამოვიდეს თანამოხსენებით რესპუბლიკაში

№ 8 ეროვნული ბიბლიოთეკა

სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობის და მელიორირებული მიწების გამოყენების მდგომარეობის შესახებ. თანამომხსენების წარმოდგენილი ტექსტი კომისიამ განიხილა და მოიწონა.

*

* *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის ო. ლელაშვილის მოხსენება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა — მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა გ. ხოდელმა, ვ. გოცირიძემ, კ. მოდებაძემ, ჭ. ჯულაყაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ სამინისტროსა და მისი საწარმოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გასულ წელთან შედარებით უფრო კარგად სრულდება პროდუქციის წარმოების გეგმები, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

სასაქონლო პროდუქციის წარმოების 1974 წლის ოთხი თვის დავალება შესრულდა 102,5 პროცენტით, გამოშვებულია 730 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ცემენტის გამოშვების გეგმა შესრულდა 191,4 პროცენტით, მოსაპირკეთებელი ფილების — 104,8, მეთლახის ფილებისა — 114,3, კირისა — 100,4 საშენი ნახევარფაიფურისა — 107,5, ინერტული მასალებისა — 133,4 პროცენტით და სხვ. ოთხი თვის მანძილზე გეგმის გადამეტებით წარმოებულია 160 ათასი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონელი.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ საშენ მასალათა მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი: 36 საწარმოდან 11 საწარმომ ვერ შეასრულა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ჯერ კიდევ დიდია მათი დებიტორული დავალიანება.

პროდუქცია ყოველთვის როდი შეესაბამება დადგენილი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. ნაკლოვანებანია კაპიტალდაბანდებათა გეგმების შესრულებაშიც.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ესაკიამ.

*

* *

გაიმართა საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ა. მანელაშვილი. კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. ჩერქეზიას მოხსენება რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა უზედამხედველობისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა და მათთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და განათლების ორგანოებმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს არასრულწლოვანთა უზედამხედველობისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

ამასთანავე აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. კომისიებს არ დაუმყარებიათ მჭიდრო კავშირი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი დამაკმაყოფილებლად არ ხელმძღვანელობს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას (ქალაქ თბილისის რაიონები, კასპის, თერჯოლის, ბოლნისისა და სხვა რაიონები). რესპუბლიკის ბევრ სკოლაში დიდია მოსწავლეთა მიერ უმიზეზოდ გაცდენილი გაკვეთილების რიცხვი. მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს იმ მოზარდთა მიმართ, რომლებიც არსად არ მუშაობენ, არ სწავლობენ ან ითვლებიან „ძნელ ბავშვებად“.

არასრულწლოვანებთან აღმზრდელობითს მუშაობაში ნაკლებად მონაწილეობენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, სერიოზული ნაკლოვანებანია ბავშვთა და მოზარდთა შორის საცხოვრებელ ადგილებზე სპორტული და აღმზრდელობითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა ორგანიზაციის საქმეში.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები, კომისიის წევრები გ. გაჩეჩილაძე, დ. ჯიჯელავა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი და სხვ.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჯ. ლომაშვილის მოხსენება „საკანონმდებლო აქტებისა და იურიდიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ“. აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში რამდენადმე გაუმჯობესდა საკანონმდებლო აქტებისა და იურიდიული ლიტერატურის გამოცემა. მაგრამ ხშირია საკანონმდებლო აქტების დაგვიანებით გამოცემის ფაქტები, არის შემთხვევები, როცა იურიდიული ლიტერატურა და საკანონმდებლო აქტები გამოდის სტილისტური, ორთოგრაფიული და კორექტურული შეცდომებით.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა ე. მაღრაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგემ პ. ბერძენიშვილმა და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილულ საკითხებზე კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ დაჯილდოვა 361 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ადიგენის | რაიონიდან . . . . . . . | 1 |
| ამბროლაურის | „ . . . . . . . . | 6 |
| ბოგდანოვკის | „ . . . . . . . . | 12 |
| გარდაბნის | „ . . . . . . . . | 53 |
| დმანისის | „ . . . . . . . . | 37 |
| თეთრიწყაროს | „ . . . . . . . . | 19 |
| კასპის | „ . . . . . . . . | 11 |
| მარნეულის | „ . . . . . . . . | 68 |
| მახარაძის | „ . . . . . . . . | 14 |
| მესტიის | „ . . . . . . . . | 6 |
| ორჯონიკიძის | „ . . . . . . . . | 2 |
| საგარეჯოს | „ . . . . . . . . | 29 |
| ყვარლის | „ . . . . . . . . | 6 |
| ჩხოროწყუს | „ . . . . . . . . | 10 |
| ცხაკაიას | „ . . . . . . . . | 3 |
| წალკის | „ . . . . . . . . | 52 |
| წულუკიძის | „ . . . . . . . . | 2 |
| ხაშურის | „ . . . . . . . . | 5 |
| ხობის | „ . . . . . . . . | 10 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო. | . . . . . . . . . | 15 |